

მე-7 კლასი

ანალოგიები

1. ვაშლი : ბოსტნეული  
ა. კუ : ქვეწარმავალი    ბ. პინგვინი : თევზი    გ. პური : მარცვლეული
2. დიალოგი : საუბარი  
ა. მსჯელობა : კონსენსუსი    ბ. კონფლიქტი : ზავი    გ. პაემანი : შეხვედრა
3. ვულკანი:ლავა    შადრევანი:  
ა. წვიმა    ბ. ფანტანი    გ. წყალი

წინადადებების შევსება

4. \_\_\_\_\_, რომ არჩილი მეგობრებს შორის ყველაზე უმცროსია, \_\_\_\_\_ ეკითხებიან.  
ა. მიუხედავად იმისა/რჩევას ყოველთვის მას  
ბ. იმის გათვალისწინებით/რჩევას ყოველთვის მას  
გ. მიუხედავად იმისა/რჩევას მას არასოდეს
5. გიორგიმ გამრავლების ცხრილი \_\_\_\_\_, თუმცა ანგარიშის დროს \_\_\_\_\_.  
ა. კარგად იცის/შეცდომას არასოდეს უშვებს  
ბ. არ იცის/შეცდომას არასოდეს უშვებს  
გ. არ იცის/ყოველთვის შეცდომას უშვებს
6. რადგან ყველამ იცოდა, რომ დავითი ბავშვობაში \_\_\_\_\_, მათ \_\_\_\_\_, რომ იგი \_\_\_\_\_ გახდა.  
ა. არ გამოირჩეოდა ნიჭიერებით/გაუკვირდათ/კარგი მეცნიერი  
ბ. გამოირჩეოდა კარგი გონებით/არ გაკვირვებიათ/კარგი მეცნიერი ვერ  
გ. გამოირჩეოდა ნიჭიერებით/გაუკვირდათ/კარგი მეცნიერი

ლოგიკა

7. მრგვალი მაგიდის ირგვლივ 4 ბავშვი დგას: ნინო, ეკა, სოფო და მაიკო. ნინოს წინ სოფო არ დგას. ვინ დგას სოფოს წინ, თუ ნინოს მარცხნივ დგას ეკა?  
ა. ეკა    ბ. ნინო    გ. მაიკო
8. თუკი ნინო ცურვის მეცადინეობას აცდენს, ე.ი. წვიმს. რა არ შეიძლება მომხდარიყო გუშინ?  
ა. გუშინ არ წვიმდა და ნინომ ცურვის მეცადინეობა გააცდინა  
ბ. გუშინ არ წვიმდა და ნინომ ცურვის მეცადინეობა არ გააცდინა  
გ. გუშინ წვიმდა და ნინომ ცურვის მეცადინეობა გააცდინა
9. გიომ, თეომ და სოფომ ერთმანეთი დახატეს. თითომ \_ თითო დანარჩენი ორიდან. ცნობილია, რომ ყველა ბავშვი ვიღაცამ დახატა. რა არ შეიძლებოდა მომხდარიყო?  
ა. გიომ დახატა თეო და თეომ \_ სოფო  
ბ. გიომ დახატა თეო და თეომ \_ გიო

გ. გიომ დახატა სოფო და სოფომ \_ თეო

მონაცემთა საკმარისობა

10. მოცემულია ორი პირობა:

I : მართკუთხედის სიგრძე 17სმ-ის ტოლია

II : მართკუთხედის სიგანეა 5 სმ

იმისათვის, რომ გავიგოთ მართკუთხედის პერიმეტრი

ა. მოცემული პირობები არ არის საკმარისი

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი

11. მოცემულია ორი პირობა:

I :  $a$  ნატურალური რიცხვია

II :  $a > 0$

იმისათვის, რომ გავიგოთ დადებითია თუ უარყოფითი  $-a$

ა. მოცემული პირობები არ არის საკმარისი

ბ. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

გ. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი

12. კლასში 24 მოსწავლეა. მოცემულია ორი პირობა:

I : ამ კლასში იმდენი გოგო სწავლობს, რამდენიც ბიჭი

II : ამ კლასში 12 გოგონაა

იმისათვის, რომ გავიგოთ რამდენი ბიჭი სწავლობს კლასში

ა. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი

მათემატიკური აზროვნება

13. რომელია მეტი? შემოხაზეთ ა თუ მეტია A, შემოხაზეთ ბ თუ მეტია B და შემოხაზეთ გ თუ

$$A=B$$

$$A = \frac{1}{2}$$

$$B = \frac{1}{6} + \frac{1}{4}$$

ა ბ გ

14. დათომ ჩაიფიქრა რიცხვი, დაუმატა 39, გაყო 2-ზე, შემდეგ კი გაამრავლა 5-ზე და

გამოაკლო 2. რა რიცხვი შეიძლება მიეღო დათოს?

ა. 429 ბ. 313 გ. 550

15. 3 კგ ატამი ღირს იმდენი, რამდენიც 2 კგ მსხალი. 3 კგ მსხალი კი იმდენი\_ რამდენიც 4 კგ

ვაშლი. რომელი უფრო ძვირია 9 კგ ატამი თუ 8 კგ ვაშლი?

ა. 9 კგ ატამი ბ. 8 კგ ვაშლი გ. ტოლია